საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვასილ მშვენიერაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 09.07.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვასილ მშვენიერაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისთვის ლევან ნემსაძის წარდგენის
შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (1 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულებით, კანდიდატებად დარეგისტრირდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირები, მათ შორის - ლევან ნემსაძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოვახდინე კანდიდატის შეფასება. შეფასებისას ვიხელმძღვანელე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და თავად ლევან ნემსაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით.

კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ლევან ნემსაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატი ასევე შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით: „ა" სამართლის ნორმების ცოდნა; „ბ" სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; „გ" წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები; „ვ" პროფესიული

თვისებები; „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; „ი“ პროფესიული აქტივობა. მითითებული მახასიათებლების მიხედვით, ლევან ნემსაძეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად მივანიჭე 94 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის №1/49 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - ლევან ნემსაძე. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა ლევან ნემსაძის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად ლევან ნემსაძეს მხარი დავუჭირე, ვინაიდან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ვასილ მშვენიერაძე

9 ივლისი, 2025 წელი